განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსი (ქართულენოვანი), ერთსაფეხურიანი
შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების
თარიღ(ებ)ი: 2021
წლის 17-18 ივნისი

ანგარიშის წარდგენის თარიღი:
21 ივნისი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211360203
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

საინფორმაციო პროფილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი (7)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფერო და კოდი	მედიცინა - 0912
ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნები ს/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითება (მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისანმასწავლებლისმომ ზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საბჭოს გადაწყვეტილება N341, 2011 წლის 25 ნოემბერს

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნადია ბადრავი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის არაბული ქსელის პრეზიდენტი, WFME- ს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, CHEA ხარისხის საერთაშორისო ჯგუფი, ECCTIS/TNE, კაიროს უნივერსიტეტი, ეგვიპტე
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლეილა ახვლედიანი „ბაუ“ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტისმედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის პროფესორი. სკოლის დეკანი. ლაბორატორია.ექიმი. საქართველო

[1]ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. თუ ერთობლივი პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით, საიდენტიფიკაციო კოდისა და ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმის მითითება სავალდებულო არაა.

[2]თუ პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით და პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავებულია, მაშინ მიეთითება შესაბამისი უნივერსიტეტის კვალიფიკაცია.

წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანი ყავლაშვილი, დიპლომირებული მედიკოსი, დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულიგანყოფილების ასოცირებული პროფესორი, პედიატრი მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვახტანგ ტებიძე (სტუდენტი ექსპერტი), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე, დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კლინიკის ,,სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების ცენტრის" დირექტორი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი არის შეზღუდული დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მდებარეობს საქართველოში, ქ. თბილისში. იგი ანიჭებს ბაკალავრის ხარისხს მედიცინაში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მეშვეობით, რომელიც 1991 წლიდან ხორციელდება და დაიწყო ორგანულ სისტემაში ინტეგრირებული მიდგომით, მოახდინა შეფასებისა და სწავლების ინტეგრაცია.

2012 წელს, TEMPUS / ERASMUS პროექტის საშუალებით დაინერგა PBL-პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ვირტუალური შემთხვევის სისტემა ePBL დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელების მიზნით. ამ პროექტით უფრო მეტად შესაძლებელი გახდა პრობელმაზე დაფუძნებული სწავლების-PBL ფორმატის ინტეგრირება არსებულ პროგრამაში. ეს მიდგომა ნაწილობრივ იქნა დანერგილი მასწავლებელთა ცენტრალური სწავლების შემცირების, სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერის, სასწავლო გეგმის ინტეგრაციის დონის ამაღლების, კურსების მცირე ჯგუფში სწავლებისა და სამეცნიერო უნარების განვითარებისა და კლინიკური მსჯელობისა და პროფესიონალიზმის გაძლიერების მიზნით.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზანია ადამიანის კლინიკური პრაქტიკოსი სპეციალისტების მომზადება მაღალი დონის კლინიკური კომპეტენციის, კლინიკური მსჯელობისა და უწყვეტი განათლების უნარით. განათლების სტრატეგია მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის შემუშავებასსპირალური, ინტეგრირებული და სისტემაზე დაფუძნებული მიდგომით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშის პროცესი აღწერს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სიტუაციურ ანალიზს. სამუშაო ჯგუფში შედის ფაკულტეტის 17 წევრი, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე და რომლებმაც

შესაბამისად, შეადგინეს ანგარიში. თვითშეფასებაში დაცულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული ფორმატი. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტები იყო ინფორმაციული; ამასთან, ჯგუფმა მოითხოვა შემდგომი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთო ანგარიშს.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის წინა გარე შეფასება 2014 წელს ჩატარდა, 2021 წლის შეფასება მოიცავს ექვსწლიან პერიოდს, ერთწლიანი დაგვიანებით COVID-19 პანდემიის გამო.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტები. ისინი მოიცავს უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს (თვითშეფასების ანგარიში 2021 წ. მარტი), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საქართველოს ავტორიზაციის სტანდარტების, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდის გათვალისწინებით, და დამატებით დოკუმენტებს, რომლებიც ვიზიტამდე მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა. პანდემიის გამო, ადგილზე ვიზიტი უმეტესად ონლაინ რეჟიმში განხორციელდა.

ჯგუფის წევრებმა გაცვალეს თავდაპირველი შთაბეჭდილებები და გაიარეს სხვადასხვა სესიები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ონლაინ ვიზიტის მოსამზადებლად. განათლების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ორი ზუმ-შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს მოსაზრებები და განიხილეს ძირითადი თემები გასაუბრებისთვის. ისინი ასევე შეთანხმდნენ, ვიზიტის პროგრამის სამუშაო ვერსიაზე.

ადგილზე ვიზიტი შესრულდა 2021 წლის 17 და 18 მაისს. პროგრამა შედგებოდა ორი ნაწილისგან: ონლაინ შეხვედრები და ადგილზე ვიზიტი. პირველ დღეს, დილით, ჯგუფის ორმა ქართველმა წევრმა მიიღო მონაწილეობა შენობის ადგილზე დათვალიერებაში, ხოლო ჯგუფის დანარჩენი ნაწილი მათთან ინტერნეტით იყო დაკავშირებული. ონლაინ შეხვედრების დროს, ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა 12 გასაუბრებას. ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, PBL მასწავლებლებს, დამსაქმებლებს, ინგლისურენოვან და ქართველ სტუდენტებს, ინგლისურენოვან და ქართველ კურსდამთავრებულებს და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებს. გასაუბრებებმა საშუალება მოგვცა განგვეხილა და დაგვეზუსტებინა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მიგნებები და შეგვეგროვებინა უფრო კონკრეტული მტკიცებულებები. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა თითოეულ სტანდარტთა შესაბამისობის შესახებ. ადგილზე ვიზიტი დასრულდა უნივერსიტეტთან საბოლოო შემაჯამებელი შეხვედრით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეჯამება (იხ. საბოლოო ცხრილი)
- რეკომენდაციების შეჯამება

1. სტანდარტი 2 - სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობა ყოველი სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს საჭიროა.
2. სტანდარტი 2 - გადაიხედოს სასწავლო გეგმის სილაბუსები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
3. სტანდარტი 2 - გადაიხედოს წინაპირობები სილაბუსებში და გახდეს ისინი გასაგები და ნათელი.
4. სტანდარტი 2 - შევიდეს შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსში / მოდულსა და სილაბუსებში.
5. სტანდარტი 2 - გაძლიერდეს პაციენტებთან პრაქტიკული უნარების სწავლება კლინიკურ წლების განმავლობაში.
6. სტანდარტი 2 - სტუდენტების შეფასებები გახდეს უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის.
7. სტანდარტი 2 - დაწესებულებამ გამოიყენოს სრულად თანამედროვე და სტრუქტურული სტუდენტთა შეფასების სისტემა, როგორებიცაა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, მინი- CEX -კლინიკური შეფასების სავარჯიშო და DOPS-პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება, კლინიკური სწავლების ყველა წელს, და არა მხოლოდ მე-6-ზე.
8. სტანდარტი 4 - პერსონალის შერჩევის წესი შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებლებთან.
9. სტანდარტი 4 - დაწესებულებამ დააბალანსოს სამუშაო დატვირთვა ფაკულტეტის წევრებს შორის.
10. სტანდარტი 4 - ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის წევრების შეფასების თანამედროვე პოლიტიკა.
11. სტანდარტი 4 - ჩამოყალიბდეს მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა.
12. სტანდარტი 4 - მოეწყოს სკოლის ინფრასტრუქტურა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების ან ფაკულტეტის წევრებისთვის.
13. სტანდარტი 4 - დაწესებულებამ ბიუჯეტში გამოყოს კონკრეტული სახსრები პერსონალის სამეცნიერო და პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, ბიბლიოთეკის ფონდის შევსებისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისათვის.

- რჩევების შეჯამება

1. სტანდარტი 1 - დაწესებულებამ პროგრამის მიზნებში ჩართოს ისეთი ელემენტები, როგორიცაა ზუსტი/პერსონალიზირებული მედიცინა, დიდი მონაცემების გამოყენება და სანდო პროფესიული საქმიანობა, რაც განვითარებადი სამედიცინო განათლების გამოყენების საშუალებას იძლევა.
2. სტანდარტი 1 - განხორციელდეს განვითარებული მენტორობის პროგრამა.
3. სტანდარტი 2.1- ხაზი გაესვას პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმებში/წინაპირობებში, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ ინგლისურადაა და ასევე ყველა წიგნი ინგლისურია

4. სტანდარტი 2 - შინაგანი მედიცინის კურსების ინტეგრირება განხორციელდეს უფრო ჰოლისტიკური გზით.
5. სტანდარტი 2 - გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და განხორციელდეს პროგრამის პირველივე წლებიდან.
6. სტანდარტი 2 - გადაიხედოს სილაბუსები, კერძოდ, კურსების მეორადი მიზნების რელევანტურობა ძირითად მიზნებთან და სწავლების წელი.
7. სტანდარტი 2 - გაიზარდოს ინტეგრაციის დონე სწავლების პირველ წელს.
8. სტანდარტი 2 - გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოები.
9. სტანდარტი 2 - გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში.
10. სტანდარტი 2 - დაწესებულებამ გამოიყენოს უფრო სტანდარტიზებული პაციენტების სესიები კლინიკურ წლებში (4-5 წელი) კლინიკურ საგნებში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები ანამნეზის აღებაში, კონსულტაციაში.
11. სტანდარტი 2 - შემცირდეს სტუდენტებისა და კლინიკური მასწავლებლების თანაფარდობა პრაქტიკული მუშაობის დროს კლინიკურ საგნებში.
12. სტანდარტი 2 - დაემატოს შეფასების კრიტერიუმების სრული აღწერა თითოეულ სილაბისში.
13. სტანდარტი 2 - დაიგეგმოს საორიენტაციო შეხვედრა თითოეული კურსის დაწყებამდე პირველ დღეს და მიეცეს ინფორმაცია სტუდენტებს კურსის, ყოველდღიური საქმიანობის, შეფასების მეთოდების, გამოცდის და ა.შ. შესახებ.
14. სტანდარტი 2 - გაიზარდოს გამსვლელი ქულის ზღვარი კლინიკურ განყოფილებაში საბოლოო (საგამოცდო) შეფასებისას.
15. სტანდარტი 2- განახლდეს ჟურნალი და მიეცეს პორტფოლიოს ფორმა.
16. სტანდარტი 3 - ამაღლდეს სტიდენტების მოტივაცია, მიიღონ მონაწილეობა რეალურ კვლევებში.
17. სტანდარტი 3 - გაიზარდოს ფაკულტეტის წევრების მიერ კლინიკური სწავლების ფაზაში ხელმძღვანელობის შემთხვევები.
18. სტანდარტი 4 - გაუმჯობესდეს და გამჭვირვალე გახდეს აკადემიური პერსონალის არჩევისა და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურა და პირობები.
19. სტანდარტი 4 - დაკონკრეტდეს კლინიკური პრაქტიკის მიმართულებები და სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკაზე კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებში.
20. სტანდარტი 5 - მოხდეს მონიტორინგის სისტემატიზირება და ანგარიშგების თანმიმდევრულობა.

- საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

1. სტანდარტი 1- ერაზმუსის PBL პროექტის კარგი გამოყენება ტრადიციული პროგრამის შემუშავებისა და სწავლება/სწავლის თანამედროვე ტექნიკის დანერგვისთვის.
2. სტანდარტი 2- კლინიკური უნარების კარგი ინტეგრაციაპროგრამის დაწყებისთანავე.
3. სტანდარტი 2- ვირტუალური პაციენტების გამოყენება კლინიკური უნარების კურსებზე.
4. სტანდარტი 2- კარგად აღჭურვილი უნარების ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ნებისმიერ დროს პრაქტიკის

განსახორციელებლად.

5. სტანდარტი 3- სტუდენტების პრაქტიკული და ფინანსური მხარდაჭერა USMLE გამოცდაში.
6. სტანდარტი 4-ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული სასწავლო მასალა და კარგი სკანერი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის; მას, ასევე, აქვს კომფორტულ ადგილი კითხვისთვის.
7. სტადარტი 4- უნარების ლაბორატორიას აქვს თანამედროვე მანეკენები და პლასტიკის ნაწილები. უნარებისერთ-ერთმა ლაბორატორიამ აკრედიტაცია მიიღო.
8. სტანდარტი 5- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩამოყალიბება;

.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

- პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ მის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის მისია და მიზნები ნათელია, კარგად არის ფორმულირებული და შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ უმაღლესი სასწავლებლების მიზნებთან, აგრეთვეუნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან. მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები კარგად არის გადმოტანილი არსებით ცოდნაში, უნარებსა და ქცევებში, რომლებსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტი სწავლის ბოლოს. ჯგუფი დარწმუნებულა, რომ ეს პროგრამა კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ ექიმებად, რომლებსაც ექნებათ სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობები და კარგი ეთიკური ფასეულობები.

ადმინისტრაციულ ჯგუფთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, აშკარად იყო გააზრებული მისიის განვითარების მექანიზმი და მიზნები, რომლებიც კარგად იყო მიწოდებული დაინტერესებული მხარეებისთვის. დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მრავალი გამოკითხვის შესახებ და მოიწონეს მათი გავრცელების მეთოდი.
ფაკულტეტის წევრებმა, სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა გასაუბრებების დროს დაადასტურეს, რომ მათ მიიღეს შესაბამისი ორიენტაცია პროგრამის მისიისა და მიზნების შესახებ.

არსებობს კარგად გამოკვეთილი კომპეტენციები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას, რაც კარგად არის ჰარმონიზებული საზოგადოების საჭიროებებთან.
პროგრამამ კარგად გამოიყენა TEMPUS / Erasmus- ის PBL პროექტი ინტეგრაციის უფრო მაღალი დონის მისაღწევად და სწავლებისა და სწავლის ახალი სტრატეგიების დასამატებლად, როგორიცაა PBL და ვირტუალური შემთხვევები.

პროგრამის ევოლუცია ორგანულ სისტემებზე დაფუძნებული მიდგომიდან ინტეგრირებულ სპეციალურ სასწავლო გეგმაზე გადასვლისთვის წარმატებით დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოდერნიზებულია და მოიცავს სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდებს, როგორიცაა PBL, ვირტუალური შემთხვევების გამოყენება და სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება, კლინიკურ წლებში სამედიცინო განათლების სამომავლო ევოლუცია სტრატეგიულ გეგმაში ან მიზნებში არ იყო ნახსენები. ეს თანამედროვე ტენდენციები მოიცავს ზუსტ (პერსონალიზირებულ) მედიცინას, სანდო პროფესიულ საქმიანობას და დიდი მონაცემების გამოყენებას და ანალიზს, რაც მომავალი

სამედიცინო განათლების მნიშვნელოვანი ელემენტებია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ვებ-გვერდი;
- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სტანდარტი 1 - დაწესებულებამ პროგრამის მიზნებში ჩართოს ისეთი ელემენტები, როგორიცაა ზუსტი/პერსონალიზირებული მედიცინა, დიდი მონაცემების გამოყენება და სანდო პროფესიული საქმიანობა, რაც განვითარებადი სამედიცინო განათლების გამოყენების საშუალებას იძლევა.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):

- სტანდარტი 1- ერაზმუსის PBL პროექტის კარგი გამოყენება ტრადიციული პროგრამის შემუშავებისა და სწავლება/ სწავლის თანამედროვე ტექნიკის დანერგვისთვის.

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გრძნობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ის არის გაზომვადი და მიღწევადი. ისინი შეესაბამება ეროვნულიკვალიფიკაციების ჩარჩოს და ევროპულიკვალიფიკაციების ჩარჩოს. უფრო მეტიც, სწავლის შედეგები თავსებადია WFME სტანდარტებთან და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან. შედეგად, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ წარმატებით ჩაირიცხონ ასპირანტურაში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. შემუშავებული სწავლის შედეგები ემყარება სამედიცინო სექტორების

დარგობრივ მახასიათებლებს, გარდა ამისა, ისინი თითქმის შეესაბამება შრომის ბაზარს.

ჩატარდა ყველა დაინტერესებული მხარის კვლევა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კონკრეტული და დარგობრივი კომპეტენციების შეფასების მიზნით. დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, მათ დაადასტურეს რომ იცოდნენ პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ და რომ მხედველობაში იქნა მიღებული მათი მოსაზრებები პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ. ყველა მათგანი კმაყოფილი იყო გამოკითხვით და ინფორმირებული იყო გამოკითხვის შედეგების შესახებ.

პროგრამის შემუშავება ითვალისწინებს დამსაქმებელთა მოთხოვნას; თუმცა, შეიძლება მეტი კვლევა იყოს საჭირო საერთაშორისო დამსაქმებლებისა და ასპირანტურის პროგრამისთვის საზღვარგარეთ.

არსებობს პროგრამის სწავლის შედეგებისშეფასების სისტემა, რომელიც უფრო დეტალურად გაანალიზდება სტანდარტ 2-ში.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამამ შეიმუშავა მენტორობის პროგრამა 2020-2020 წლებში. გეგმა კარგადაა გაწერილი და ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სავალდებულოა განხორციელების გეგმის შედგენა ვადებითა და შესრულების ინდიკატორებით. გეგმა უნდა შეიცავდეს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ორიენტაციას, აგრეთვე ამ სფეროში ფაკულტეტების განვითარების საპროექტო გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებლის გამოკითხვისა და მოსაზრებების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვა;
- სამედიცინო განათლების ცენტრის ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსები;
- უკუკავშირი შეფასებაზე;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სტანდარტი 1- განახორციელეთ განვითარებული მენტორობის პროგრამა

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის ნათლად ჩამოყალიბებული და დოკუმენტირებული. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი ”სტუდენტის სტატუსის მიღების, აკადემიური შვებულების, სტატუსის შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და განათლების პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი”. ამ დოკუმენტში ასახულია უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურები, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

ქართველს შეუძლია მოიპოვოს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით, აგრეთვე ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ბოლო 2 წლის განმავლობაში მიიღეს სრული ზოგადი ან ეკვივალენტური განათლება უცხო ქვეყანაში (იგივე წესები, რაც უცხოელებისთვის).

2018 წელს უნივერსიტეტმა შეიტანა ცვლილებები აბიტურიენტებისთვის 2019-2020 აკადემიური წლისთვის. ცვლილებები ეფუძნება ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული საუნივერსიტეტო კვლევის შედეგების ანალიზს, კერძოდ, 2016-2017 და 2017-2018 წლებში ჩატარდა კვლევა ერთიანი ეროვნული გამოცდების კონტექსტში, რომლის მიზანი იყო დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მოპოვების მოთხოვნების / კრიტერიუმების გაუმჯობესება ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგების საფუძველზე (დანართი # 16, "პირველი კურსის სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კონტექსტში, 2017-2018 სასწავლო წელი). აღნიშნულზე დაფუძნებით უნივერსიტეტმა

გაზარდა მიღებისბარიერის კრიტერიუმები (ერთიანიეროვნული გამოცდების შედეგებისთვის) - უცხო ენა - 70%, მათემატიკა - 60%, ფიზიკა- 60%, ქიმია - 60% ბიოლოგია - 60%. იმავე დოკუმენტში ნაჩვენებია სტუდენტის სტატუსის მობილობა და შეჩერება დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში, რაც ასევე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა აუცილებელი პროცედურის გავლისთანავე (წინა განათლების აღიარება და შესაბამისობის დადგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, აბიტურიენტებისთვის ვიზის გაცემა, სწავლის საფასურის გადახდა) დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის აბიტურიენტი რეგისტრირდება სტუდენტის აქტიური სტატუსით.

პროგრამის წინაპირობები და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში მიღების წესი საჯარო და ხელმისაწვდომია. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე „პოლიტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტებში“ განთავსებულია დოკუმენტი „სტუდენტის სტატუსის მიღების, აკადემიური შვებულების, სტატუსის შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და განათლების პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“, რომელშიც მოცემულია დაშვების კრიტერიუმების დეტალური აღწერა.

რადგანაც ქართულ პროგრამაზე სწავლის პროცესი ნაწილობრივ ინგლისურ ენაზეა, დაშვების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი, რათა სტუდენტმა იცოდეს, რომ ქვიზები, ზოგიერთი დისკუსია ინგლისურ ენაზეა, ასევე წიგნები ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას მათ აჩვენეს, რომ კარგად ესმით დაშვების წინაპირობები და იცავენ შემუშავებულ დოკუმენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ”სტუდენტის სტატუსის მიღების, აკადემიური შვებულების, სტატუსის შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და განათლების პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი”. (დანართი 14);
- აკადემიური პროცესის რეგულაცია (დამართი 15);
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- ვებ-გვერდი - https://dtmu.ge/index.php?Cat=1&sub=24&lang=1

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სტანდარტი 2.1 - ხაზგასმით აღინიშნოს დაშვების კრიტერიუმებში, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ ინგლისურ ენაზეა და ყველა წიგნი ინგლისურადაც არის ხელმისაწვდომი.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამა შემუშავებულია საქართველოს დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ხორციელდება 1992 წლიდან. პროგრამის ცვლილებების დამტკიცება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებებისა და გაუქმების პროცედურების შესაბამისად“ (დანართი N17). პროგრამის შეფასება და შემუშავება, შემდეგ კი ცვლილებების დაგეგმვა განხორციელდა სამედიცინო განათლების ცენტრის (MEC) მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროცესზე ზემოხსენებული დოკუმენტების შესაბამისად (თავი 2, პუნქტი 2.4) სასწავლო გეგმის კომიტეტთან და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან ერთად, ორივე მუდმივად მონაწილეობს პროცესის შეფასებაში. ყველა ეს პროცედურა დეტალურადაა აღწერილი დანართში N13 - სამედიცინო განათლების ცენტრის 2016-2017 სასწავლო წლის ანგარიში და დანართში 31 - სამედიცინო განათლების ცენტრის 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება Tuning პროექტის სასწავლო გეგმის დაგეგმვას, განხორციელებასა და გადაცემას („tuning-ის ხარისხის განვითარების ციკლი“) და აღწერს სასწავლო პროგრამის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპებს; უნივერსიტეტს აქვს სასწავლო გეგმის მოდერნიზაციის ძალიან კარგი მეთოდოლოგია, რომელიც აღწერილია „პროგრამის შექმნის, დაგეგმვისა და განვითარების პოლიტიკაში“ (დანართი N18).

- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (თითოეული ინდივიდუალური კურსის ჩათვლით) თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის სტრუქტურირებული, სასწავლო კურსების ჯაჭვი (LA) / მოდული (M) ლოგიკურია, ეს კარგად არის აღწერილი პროგრამაში, მაგრამ ეს სტრუქტურა არ ჩანს სასწავლო გეგმაში (სასწავლო გეგმა შეიცავს ინფორმაციას LA / M სათაურის, კოდის, კრედიტის, საკონტაქტო საათების განაწილებისა და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის შესახებ (პერსონალური სწავლება), საგამოცდო ფორმას და პასუხისმგებელ განყოფილებას, მაგრამ არ შეიცავს ინფორმაციას თითოეული მოდულის ან სასწავლო კურსის წინაპირობების შესახებ. ეს ინფორმაცია მხოლოდ სილაბუსშია და სტუდენტმა უნდა შეისწავლოს თითოეული სასწავლო პროგრამა, რათა სწორად დაგეგმოს ინდივიდუალური სასწავლო

პროცესი წარუმატებელი სასწავლო კურსის ან მოდულის შემთხვევაში. გარდა ამისა, იმისთვის, რომ სწორად განისაზღვროს, არის თუ არა პროგრამა ლოგიკურად აგებული და სტრუქტურირებული და დაცულია თუ არა სტრუქტურის პრინციპი, უმჯობესია სასწავლო გეგმას (კურიკულუმს) დაემატოს წინაპირობა ან შეიქმნას ცალკეული წინაპირობის რუკა.
კლინიკურ წლებში სასწავლო გეგმისა და სილაბუსის მიხედვით, სტუდენტები შეისწავლიან რესპირატორულ, გულსისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელ, თირკმელების, უროლოგიურ, კანისა და კუნთო-ძვლოვან დარღვევებს, რომლებიც უფრო მეტად კონკრეტულ დაავადებებზეა ორიენტირებული. ვინაიდან პროგრამა ინტეგრირებულია, ჯგუფის წევრები ვარაუდობენ, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი შინაგანი მედიცინის მიმართ ჰოლისტური მიდგომა კლინიკურ ფაზაში სამედიცინო სპეციალობის როტაციის დაწყებამდე.

პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-2 ეტაპს, საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპული კრედიტების გაანგარიშების სისტემას.პროგრამა ინტეგრირებულია და შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს; ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს დააგროვონ 360 კრედიტი სულ და 60 კრედიტი წელიწადში. 1 კრედიტი ითვალისწინებს 30 სამუშაო საათს და სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილში, 16 საათი 30 – დან არის საკონტაქტო, ხოლო 14 საათი ეთმობა სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას. სწავლის 6 წლიანი პერიოდი იყოფა 3 ეტაპად: 1- ძირითადი სამედიცინო და კლინიკური მეცნიერების კურსი; 2- კლინიკური მედიცინის კურსი, 3- ზოგადი კლინიკური სპეციალიზაციის კურსი.

პროგრამა ინტეგრირებულია ჰორიზონტალურად, სწავლების დონე ორგანიზებულია ისე, რომ ძირითადი კურსი წარმოადგენს კლინიკური მედიცინის კურსის საფუძველს სწავლის შემდეგ დონეზე და ორივე მათგანი წარმოადგენს კლინიკური დარგობრივი კურსის წინამორბედს სწავლის ბოლო წელს. საგნების ზოგადი ნაწილის გარდა, პირველ წელს სასწავლო მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ადამიანის სისტემებს II კურსზე;

II კურსიდან ძირითადი მედიცინის სწავლება ჰორიზონტალურად არის ინტეგრირებული, უკავშირდება კლინიკური დიაგნოზისა და ფარმაკოლოგიის პრინციპების (ვერტიკალური სწავლების ელემენტს) სწავლებას და ქმნის ორგანოთა სისტემების მოდულებს.

სპირალი III არის კლინიკური როტაციები, რომელიც ემყარება სტუდენტის წინა გამოცდილებას (I, II სპირალი) მომავალი კლინიკური პრაქტიკისთვის მომზადების მიზნით.

პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული სახელმძღვანელოების უმეტესობა (რომელიც უნდა შეიცავდეს ახალ კვლევებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს) განახლებულია, მაგრამ ზოგიერთ სასწავლო გეგმაში სავალდებულო სახელმძღვანელოები მოძველებულია (2004, 2006 წწ. კლინიკურ უნარებში - მაგალითად, პრე-ჰოსპიტალური ტრამვის მენეჯმენტი, რაც რეკომენდირებული იყო 2004 წელს, ძირითადად შეცვლილია).

პროგრამა მოიცავს მხოლოდ 6 არჩევით საგანს (2,3,5,6 კურსებზე). არჩევითი საგნების სწავლა იწყება მეორე კურსიდან. ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდას და მათ დანერგვას სასწავლო პროცესის პირველი კურსიდანვე.

თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ პროგრამის დიზაინში ბევრი დაინტერესებული მხარე იყო ჩართული. სამედიცინო განათლების ცენტრის (MEC) ანგარიშებში აღწერილია,

თუ როგორ მონაწილეობენ ცენტრის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი სასწავლო გეგმის სასწავლო კურსების განახლებაში. ამ პროცესებში მონაწილეობენ უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების წევრები (პედაგოგები და სტუდენტები), სხვადასხვა სტრუქტურები, სპეციალური სამიზნე ჯგუფები (შექმნილი კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად), სამედიცინ განათლების ცენტრი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. ანგარიშებში აღინიშნა, რომ შეხვედრები და გასაუბრებები ჩატარდა სასწავლო კურსის ზოგიერთ ლექტორთან. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტმა გამოიყენა EBMA– ევროპული სამედიცინო შემფასებელთა საბჭო, რამაც საშუალება მისცა დაწესებულებას შეეფასებინა საკუთარი პროგრამა. შეფასებისთვის, უნივერსიტეტმა გამოიყენა მაასტრიხტის უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ე.წ. პროგრესის ტესტი, რომელიც სტუდენტების ინდივიდუალური შეფასების გარდა, საშუალებას იძლევა გამოავლინონ პროგრამის ”პრობლემური” სფეროები.

გარდა ამისა, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატარა მრავალი გამოკითხვა, რომელთა ანალიზის შედეგები გაითვალისწინეს პროგრამის ცვლილებების დროს. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების ანგარიშებში, რომელიც მომზადდა 2015-2016 და 2016-2017 და 2019 სასწავლო წლებში ხარისხის უზრუნველეყოფის დეპარტამენტის მიერ, არ არის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის კვლევების ანალიზის შედეგები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამისშემუშავებაში არც ისე ინტენსიურია. ამ მოსაზრებას ამყარებს ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ ყველა მათგანი არ იყო ჩართული პროგრამის შეფასებაში, დაგეგმვაში ან შეცვლაში. იგივე შეიძლება ითქვას დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებზე, მათ შეავსეს ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარი, მაგრამ მათ ვერ გაიხსენეს ბოლო ცვლილებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა და გაკეთდა მათი წინადადებების შესაბამისად. სასურველი იქნება აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, მაგრამ ის არ შეიცავს სასწავლო გეგმას.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- დანართი 17- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები;
- დანართი 18- პროგრამის შექმნის, დაგეგმვისა და განვითარების პოლიტიკა დავით ტვილდიანის სახდელობის სამედიცინო უნივერსიტეტში;
- დანართი 13- სამედიცინო განათლების ცენგრის 2016-2017 სასწავლო წლის ანგარიში;
- დანართი 13- სამედიცინო განათლების ცენგრის 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში;
- დანართი 50- ხარისხის უზრუნველყოფის თვითშფასების ანგარიში 2015-2016 სასწავლო წლისთვის;
- დანართი 51- ხარისხის უზრუნველყოფის თვითშფასების ანგარიში 2016-2017 სასწავლო წლისთვის;
- დანართი 67- სტუდენტების გამოკითხვის ხარისხის უზრუნველყოფის ანალიზის საქაღალდე (ობიექტურად სტრუქტურიზებული კლინიკური გამოცდა, ზოგიერთი სასწავლო კურსი, PBL-პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტის თვითშეფასება, სტუდენტების მიერ მასწავლებლების შეფასება);
- დანართი 1- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- დანართი 19.10 სასწავლო გეგმა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

რეკომენდაციები:

- სტანდარტი 2.2- სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობა ყოველი სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს საჭიროა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სტანდარტი 2.2- შინაგანი მედიცინის კურსების ინტეგრირება განხორციელდეს უფრო ჰოლისტიკური გზით.
- სტანდარტი 2.2- გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და განხორციელდეს პროგრამის პირველივე წლებიდან.

საუკეთესო პრაქტიკა:

- სტანდარტი 2- კლინიკური უნარების კარგი ინტეგრაცია პროგრამის დაწყებისთანავე.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სასწავლო გეგმა აღწერს კურსებს, მათ მოცულობას და განხორციელების თანმიმდევრობას, და ისინი შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების / მოდულების სასწავლო პროგრამები შეიცავს ინფორმაციას კრედიტების, საათების, წინაპირობების, ხანგრძლივობის, სტატუსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ. გარდა ამისა, იგი აღწერს თემებს, თუ რა დავალებების შესრულებაა საჭირო სტუდენტებისგან, რა არის სწავლისა და შეფასების ფორმატი, სწავლის რომელ შედეგებს მიიღებს სტუდენტი კურსის დასრულების შემდეგ და ა.შ.ამასთან, ჯგუფმა შეამჩნია, რომ არცერთ სილაბუსში არ არის მოცემული ინფორმაცია, კონკრეტულად რომელ სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი და მოდული, თემები არ ნაწილდება კვირების მიხედვით, შესაბამისად, გაუგებარია, რომელ კვირაში აქვს სტუდენტს მიმდინარე შეფასება და რომელ კვირაში შუალედური გამოცდა ან PBL, როდის აქვს მას ლექცია და სემინარი ან ლაბორატორიული სამუშაო. სილაბუსები არ აკონკრეტებენ შეფასების მეთოდებს ან კრიტერიუმებს. მოდულებში გაუგებარია, ჯერ ერთი საგანი იწყება და შემდეგ მეორე გრძელდება, თუ პარალელურად ისწავლება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იყოფა 3 ნაწილად: **„ძირითადი ბიოსამედიცინო მეცნიერებები“; „ქცევითი მეცნიერება, სოციალური მეცნიერება და სამედიცინო ეთიკა“** და **„კლინიკური მეცნიერებები და კლინიკური და პროფესიული უნარები**”.ძირითადი ბიოსამედიცინო მეცნიერების ეტაპზე სისტემის შესწავლა იწყება ემბრიოლოგიით, შემდეგ განიხილება მისი შემადგენელი ორგანოების სტრუქტურა მაკროსკოპულ (ანატომია), მიკროსკოპულ (ჰისტოლოგიური) დონეებზე და ნორმალური ფუნქციონირების მიზანშეწონილობა (ფიზიოლოგია და ბიოქიმია). ამის შემდეგ ისწავლება თითოეული სისტემის ეტიოლოგია და პათოგენეზი (მიკრობიოლოგია, პათოლოგია - პათანატომია და პათოფიზიოლოგია). ამ ეტაპზე მოდულის სილაბუსია სამედიცინო მეცნიერებათა შესავალი 1-დან 6-მდე. მართალია, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა კარგად აღწერს ინტეგრაციას (იგივე ჩანს თვითშეფასების ანგარიშშიც) და აგებულია კლინიკურ საგნებზე და ძირითადი საგნები აგებულია კლინიკურზე, სასწავლო პროგრამა არ არის ძალიან კარგად შექმნილი და მოდულის შინაარსი (ან მოდულის კონკრეტული საგნები) და მოდულის მიზნები გარკვეულწილად დამაბნეველია. მაგალითად: **შესავალი სამედიცინო მეცნიერებაში 1** (რომელიც მოიცავს შემდეგ საგნებს: სამედიცინო ბიოქიმია და ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია) და **სამედიცინო მეცნიერებათა შესავალი 3** (რომელიც მოიცავს შემდეგ საგნებს: იმუნოლოგია და პათოლოგია), **სამედიცინო მეცნიერებათა შესავალი 4** (რომელიც მოიცავს შემდეგ საგნებს: სამედიცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია და სამედიცინო ფარმაკოლოგია), **სამედიცინო მეცნიერებათა შესავალი 5** (რომელიც მოიცავს შემდეგ საგნებს: სამედიცინო ფიზიოლოგია და სამედიცინო მიკრობიოლოგია) **მოდულის მიზნები და ამოცანები** აბსოლუტურად იგივეა და ასე ჟღერს: "საწყის ეტაპზე შრომისმოყვარე სტუდენტი აღიქვამს ანატომიას, როგორც აუცილებელ

დისციპლინას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია სამომავლო პრაქტიკული საქმიანობისთვის, რომელიც ხელს უწყობს ანატომიის თემების ინტეგრირებული ორგანო / სისტემაზე ორიენტირებულ სწავლას", გაუგებარია, რადგან არცერთი მოდული არ შეიცავს ანატომიას, როგორც საგანს.

განათლების პირველ წელს **"სამედიცინო მეცნიერების შესავალი 1, 2, 3, 4, 5 და 6"** მოდულებში არ არის ინტეგრირებული. მაგალითად. **"სამედიცინო მეცნიერების შესავალი 1"** შეიცავს ბიოქიმიისა და ჰისტოლოგიის, ემბრიოლოგიისა და ციტოლოგიის თემებს. თემები არ არის ერთმანეთთან კარგად დაკავშირებული. მეორე მაგალითი: მოდულში: **"სამედიცინო მეცნიერების შესავალი 2",** ისეთი საგნები, როგორიცაა ადამიანის ანატომია 1, სამედიცინო ბიოქიმია და სამედიცინო გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგიის თემები ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული და ინტეგრაცია არ არსებობს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მე –3 – მე –12 სემესტრამდე ძირითადი მეცნიერებების ინტეგრაცია კლინიკურ მედიცინაში და პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასება უდავოდ უკეთესია, განსაკუთრებით კლინიკურ დიაგნოზსა და მკურნალობაში. სასწავლო გეგმის თემებია: (i) საბაზისო და კლინიკური მეცნიერებები; (ii) კლინიკური და კომუნიკაციური უნარები; (iii) საზოგადოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობა; (iv) პირადი და პროფესიული განვითარება; ეს თემები ხორციელდება და თან ახლავს სასწავლო გეგმას მთელს ვერტიკალთან ერთად.

პირველი და მეორე სემესტრის სილაბუსებში არ არის ჩაშენებული PBL სესიები და მოდულში შეტანილი საგნების თემები არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ამიტომ განათლების პირველ წელს ინტეგრაცია არც სწავლების, არც შეფასების დონეზე ხდება. ზემოაღნიშნულის თანახმად, პირველი წლის სასწავლო პროგრამების შინაარსი არ შეესაბამება მოდულის სწავლის შედეგებს, კერძოდ: ,,ავითარებს ანალიზისა და სინთეზის უნარს".

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ლექტორის შეფასება უპირველეს ყოვლისა ემყარება სტუდენტთა უკუკავშირს DREEM (Dundee Ready Education Environment Measure) კითხვარის რეგულარული (წლების განმავლობაში) გამოყენებით, რომელიც მნიშვნელოვნად მოიცავს მასწავლებლის მუშაობის შეფასებას სტუდენტების პერსპექტივებიდან.

ზოგადად, ჯგუფმა შეამჩნია, რომ ძირითადად სტუდენტთა გამოკითხვები და აკადემიური პერსონალის აქტივობების კვლევები (რომელიც ტარდება ხარისხის თვითშეფასების ფარგლებში) წარმოადგენს ფაკულტეტისა და პერსონალის შეფასების მთავარ ინსტრუმენტებს (დამატებით მოწოდებული დოკუმენტი: ,, პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში") პერსონალისა და ფაკულტეტის წევრების უკეთ შეფასება განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის, დეკანის, კოლეგების მიერ სხვადასხვა სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით და ბოლოს თვითშეფასებით, როგორც ერთ – ერთი თანამედროვე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარება ევალება სამედიცინო განათლების ცენტრს. დანართი 64. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების განვითარების კონცეპციაში წერია, რომ პერსონალის განვითარების გეგმის შესრულება ეკისრება სამედიცინო განათლების ცენტრს (MEC). სხვა დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თვითშეფასების ანგარიშს (2015-2016) „თავი V - 3.„ ადამიანური რესურსები "- წერია: პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამედიცინო განათლების ცენტრს.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს შემდეგი საერთაშორისო პროექტები, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და იქონია დადებითი გავლენა ფაკულტეტის წევრებზე:

- PACT: 544047-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPGR ,,პროექტის აქტორთა შესაძლებლობების ტრენინგი კავკასიაში"
- ePBLnet: 530519-TEMPUS-1-2012-1-UKTEMPUS-JPC ,,სამედიცინო განათლების ეროვნული ცენტრების რეგიონალური ქსელის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია PBL და ვირტუალურ პაციენტებზე"
- #NG-2094 "მაგნიტო მგრძნობელობის უნივერსალური ტესტის შემუშავება"

და არის მიმდინარე პროექტებიც, რომელშიც დაწესებულება მონაწილეობს:

- აკადემიური კეთილსინდისიერება სწავლა-სწავლების ხარისხისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" (კოორდინატორი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- ,,საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება R&D დანაყოფების განვითარების გზით" (კოორდინატორი: IV. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ,,ექიმთა განათლება, პაციენტების გაძლიერება ფიბრილაციასა და ვენურ თრომბოემბოლიასთან დაკავშირებით" (Call Pfizer-RFP-2018CV2)

თუმცა, სამედიცინო განათლების ცენტრის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია მოკლეა. სამედიცინო განათლების ცენტრის 2017 წლის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ პროგრამის შემუშავების ინფორმაცია, განხილულია ცვლილებები და დამატებები და საჭიროებები. პერსონალის განვითარების ტრენინგებზე, მათ საჭიროებისა და ქცევის შესახებ არაფერია ნათქვამი. დანართი N31 უფრო მეტიც, სამედიცინო განათლების ცენტრის ანგარიშში ნათქვამია (2018-2019 სასწავლო წელი): სამედიცინო განათლების ცენტრმა ჩაატარა მხოლოდ PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა) ტრენინგი დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის 10 პერსონალისთვის, სხვა ტრენინგის ან გადამზადების საჭიროებები მოხსენებაში არ არის ნახსენები. იგი ძირითადად საუბრობს PBL- ის დანერგვაზე სხვადასხვა კურსებზე და განიხილავს შედეგებს, ასევე ცენტრის მონაწილეობას ხარისხიან საქმიანობაში. ამ დოკუმენტში აღწერილი არ არის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ფინანსური მხარდაჭერა, ფინანსური ანალიზი ამ დოკუმენტში მიუთითებს მხოლოდ დაფინანსების გარე წყაროებზე (გარე გრანტების სახით) და არაფერი წერია შიდა უნივერსიტეტის დაფინანსების შესახებ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ მცირე შემოსავალი მიიღო სხვა უნივერსიტეტებისთვის გაწეული ტრენინგის მომსახურებისთვის, კერძოდ, 2 400 ლარი. მაგრამ იმავე დოკუმენტში არსად წერია, გამოყენებულია თუ არა მიღებული თანხა პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის.

იგივე დოკუმენტში აღნიშნულია შემდეგი: ,,პერსონალის მომზადება და განვითარება, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე". ამის მიუხედავად, ინტერვიუებში ეს არსად არ იყო ნახსენები და აკადემიურ პერსონალს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. ერთადერთი, რაც სამედიცინო განათლების ცენტრის ანგარიშებში ჩანს, არის პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო ტრენინგი, რომელიც ჩატარდა საგრანტო პროექტის ფარგლებში და არა დაწესებულების მიერ გამოყოფილი თანხებით. ჯგუფმა ვერ იპოვა წლიური სამოქმედო გეგმა და ვერც მეთოდოლოგია ამ პროფესიული ტრენინგის საჭიროების დასადგენად. დანართი N65 ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის პერსონალის განვითარების საქმიანობა" არ არის ჩამოთვლილი საქმიანობა, რომელიც უნივერსიტეტმა განახორციელა პერსონალის განვითარების მიზნით, გარდა იმ მოხსენებისა, თუ რა გააკეთეს თანამშრომლებმა, მაგალითად: ინფორმაცია პერსონალის ტრენინგის შესახებ, რომელიც დაფინანსებულია გარე საგრანტო პროექტებით. 2013, 2014, 2017 და 2018 წლებში. მისასალმებელია, რომ ჩატარდა ერთ-ერთი - "პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების" ტრენინგი, პროექტის ფარგლებში, რადგან სწავლება გაიარა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ოთხმა თანამშრომელმა, ხოლო შემდეგ მათ გადაამზადეს უნივერსიტეტის 10 აკადემიკოსი, მაგრამ უფრო მეტი იყო სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენელი.

გაუგებარია, რა პრინციპით იქნა შერჩეული ტრენინგის თემები ან პერსონალი, ვისაც ტრენინგი ჩაუტარდა. ასევე, ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ სამედიცინო განათლების ცენტრმა ჩაატარა შემდეგი ტრენიგები:

- ,,მართვის საფუძვლები"
- ,,ლექციების ჩატარება და ფასილიტაცია ,,ჯორნალ ქლაბ" ფორმატში"
- ,,პროექტის განვითარება"
- ,,აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა-

ტურნიტინი"

მაგრამ გასაუბრებების დროს, ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი ტრენინგების შესახებ ვერ გაიხსენავერც აკადემიურმა და ვერც მოწვეულმა პერსონალმა.

დანართი 7.1.მე-4 აბზაცი ეხება გამოკითხვის შედეგების გამოყენებას, კერძოდ:"ტრენინგი ჩატარდა ,,ჯორნალ ქლაბის" ფორმატში", რაც ადასტურებს, რომ ტრენინგი ჩატარდა დოკუმენტების დონეზე, ეს მითითებულია "პერსონალის განვითარების ღონისძიების დოკუმენტშიც", თუმცა გასაუბრების დროს ჩანდა, რომ პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია ამის შესახებ, რადგან ინტერვიუს დროს არ უხსენებიათ ამის შესახებ, მათ მიერ მხოლოდ PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) იქნა დასახელებული. ამავე დოკუმენტის მე-14 აბზაცში წერია: ,,ჩატარდა ტრენინგები პრეკლინიკური კლინიკური უნარების კურსში მონაწილე პედაგოგებისთვის." ეს ტრენინგი არ ყოფილა ნახსენები ,,პერსონალის განვითარების ღონისძიების დოკუმენტში" და არც გაჟღერებულა ინტერვიუს დროს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებში არ შედის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების ანალიზი, ხოლო დანართი 68-ში (გამოკითხვის ფორმები) მოცემულია აკადემიური პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის ფორმა (შაბლონი), მაგრამ არ არის კვლევის ან შედეგების ანალიზის დამადასტურებელი ანგარიში.

დამატებით მოწოდებულ დოკუმენტში (ფაკულტეტის განვითარება 2020-2021) ნათქვამია, რომ დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტმა 2020-2021 წლებში ჩაატარა შემდეგი ტრენინგები: ზუმი (179 პედაგოგი); ვირტუალურ პაციენტზე დაფუძნებული სიმულატორი (19 აკადემიური პერსონალი); Moodle / Turnitin (12 აკადემიური პერსონალი).

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერით (589 GBP) 6 აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში სამედიცინო განათლებაში AMEE2020 და (589 GBP) 5 აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში სამედიცინო განათლებაში EBMA 2020 "სამედიცინო განათლების წარსული, აწმყო და მომავალი", რომელიც ჩატარდა, როგორც თემატური სერია (პროგრესის ტესტირება; შეფასების ტექნოლოგიები და მეთოდები, შეფასების სისტემები, პროგრამული შეფასება, სიმულაცია, პროფესიონალიზმი და ა.შ.).

ელექტრონული ტრენინგის გარდა, პერსონალის რაოდენობა, რომელმაც გაიარა სწავლება ძალიან დაბალია, პერსონალის საერთო რაოდენობასთან შედარებით. მხოლოდ 2 მონაწილეობდა სემინარში და 11 მონაწილეობდა კონფერენციებში 2020 წელს და არანაირი ინფორმაცია 2014 წლიდან 2019 წლამდე. ამავდროულად, დაწესებულებამ არ ახსენა რაიმე კვლევა დოკუმენტებში, თუ რატომ შეირჩა ეს 5 თემა ფაკულტეტის განვითარების მიზნით და ფაკულტეტის სამიზნე აუდიტორია, რომელმაც უნდა გაიაროს ტრენინგი. საბოლოოდ უსდ-მ დანართი 9 წარუდგინა პანელს, რომელიც აღწერდა გამოკითხვის ანალიზს, თუმცა ეს არ აჩვენებს როგორ ადგენს და გეგმავს უსდ პერსონალის განვითარების პოლიტიკას.

დაბოლოს, ჯგუფი დარწმუნდა, რომ დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს არ გააჩნია მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტებისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- დანართი 64- უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განვითარების კონცეფცია;
- დანართი 65- პერსონალის განვითარების ღონისძიებები;
- დანართი 31- სამედიცინო განათლების ცენტრის ანგარიში (2018-2019);
- დანართი 13- სამედიცინო განათლების ცენტრის ანგარიში (2017);
- დანართი 50- ხარისხის უზრუნველყოფის 2015-2016 წლების ანგარიში;
- დანართი 51- ხარისხის უზრუნველყოფის 2016-2017 წლების ანგარიში;
- დანართი 68- კვლევის ნიმუშები;
- დანართი N7.1 სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების ანგარიში პროგრამის განვითარების მიზნებისთვის;
- დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები: ,, პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში";
- დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები: ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია (2020-2021).

რეკომენდაციები:

- სტანდარტი 4.2- - ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის წევრების შეფასების თანამედროვე პოლიტიკა
- სტანდარტი 4.2 - ჩამოყალიბდეს მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსები

- პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის მთავარი კამპუსი მდებარეობს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც კლინიკების უმეტესი ნაწილია განთავსებული,

რაც სტუდენტს კლინიკურ ბაზებზე წვდომას უადვილებს. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი ფლობს 3 საგანმანათლებლო სივრცეს (2 საკუთრებაში, ერთი სარგებლობის უფლებით) და არა-საგანმანათლებლო შენობას (სტუდენტური საერთო საცხოვრებელი 369 სტუდენტისთვის (საკუთრებაში)) ბოლო წლებში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები (სასწავლო აუდიტორიები, ფოიეები), განახლდა და აღიჭურვა ახალი დანადგარებით, ავეჯითა და ტექნიკით. აუდიტორიების რაოდენობა საკმარისია ამ ეტაპზე სტუდენტების რაოდენობისთვის.

მეორე კამპუსი მდებარეობს დიდუბეში, ეს არის სასწავლო ბაზა (საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე), რომელიც ასევე აღჭურვილია შესაბამისი აუდიტორიებით, მათ შორის ფოიეთი, ბიბლიოთეკით, სამკითხველო დარბაზით, სიმულატორის ოთახით, საპროფესორო ოთახით, დამხმარე ფართით, სველი წერტილით, კვლევისთვის განკუთვნილი ბლოკებით. აუდიტორიებს აქვთ ბუნებრივი და ხელოვნური განათება და უზრუნველყოფილი არიან მუდმივი ელექტროენერგიით. შენობებში განთავსებულია ცენტრალური გათბობისა და კონდიცირების სისტემები. თუმცა, ჯგუფის წევრებმა შენიშნეს, რომ უნივერსიტეტის კამპუსში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების პანდუსები არ არის, რომელსაც აქვს რამდენიმე სართული და მთავარი საგანმანათლებლო სივრცე მდებარეობს მეორე სართულზე. მართალია, კამპუსს აქვს ლიფტი, მაგრამ ლიფტთან მისასვლელი გზა არ არის მოხერხებული და არც პანდუსები არსებობს. საგამოცდო ცენტრში მაგიდების განლაგება ისეთია, რომ ინვალიდის ეტლით შესვლა შეუძლებელია. კლინიკური უნარების ტრენინგის მხრივ იგივე სიტუაციაა დიდუბის კამპუსშიც. მთავარ კამპუსში ფუნქციონირებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ერთი საპირფარეშო, მაგრამ დიდუბის კამპუსის საპირფარეშოებში სპეციალური საჭიროებების მოწყობილობები არ არის.

დაწესებულებას გააჩნია დაფნი ჰეირის სამედიცინო ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკის გარემო მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნების შენახვის ადგილი (წიგნსაცავი), სამკითხველო დარბაზი, ინფორმაციული ტექნოლოგიის აღჭურვილობის სივრცე, ბიბლიოთეკის პერსონალის სამუშაო ადგილი (როგორც თბილისის, ისე რუსთავის ბაზებში). კამპუსის მთავარ ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცე მცირეა და არ არსებობს ცალკეული ადგილები ინდივიდუალური მუშაობისთვის ან მცირე ჯგუფებში მუშაობისთვის. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 41% მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკაში მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სამუშაო სივრცის არსებობა.

ორივე ბიბლიოთეკა, როგორც თბილისის, ასევე რუსთავის, აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. 20 ინტერნეტთან დაკავშირებული პერსონალური კომპიუტერით, 1 ლეპტოპით, პრინტერით, უსადენო ინტერნეტით. რუსთავში ტრენინგის ბაზას აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, რომელშიც შედის წიგნსაცავიც და სამკითხველო დარბაზი 45 სტუდენტისთვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექციებში, ბეჭდურ ვერსიებთან ერთად, მოცემულია სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, აგრეთვე სხვა ელექტრონული სწავლების საშუალებები, მაგალითად, ადამიანის სამგანზომილებიანი ანატომიის ატლასი და ვირტუალური პაციენტის (VP) სიმულატორი.

უნივერსიტეტს აქვს კარგად ორგანიზებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისინფრასტრუქტურა, როგორც აპარატურა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ.), ასევე საკომუნიკაციო საშუალებები (შიდა ქსელი, უკაბელო ინტერნეტი და ა.შ.). დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი საიმედოდ იცავს

ადგილობრივ ქსელს ფიზიკური firewall– ის გამოყენებით უკანონო გარე ქმედებებისაგან. დავთ ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სერვერი უზრუნველყოფს ინფორმაციული რესურსების სათანადო ფუნქციონირებას.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი შიდა ელექტრონული პლატფორმა (LMS.AIETI.GE), რომელიც გამოიყენება სემესტრის მართვის, ჯგუფების მართვის, სტუდენტების მართვისა და შეფასების შედეგების ელექტრონულ ჟურნალში ჩასაწერად. აღნიშნული ბაზა აღრიცხავს სტუდენტის დასწრებას, აქტივობისა და ზეპირი გამოკითხვების შეფასებას. ელექტრონულ მონაცემთა ბაზას შეუძლია გამოთვალოს წინასწარი ქვიზის ქულები ისე, რომ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება სტუდენტის მიერ მოდულის საბოლოო ქვიზზე დაშვებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს ასევე აქვს სტუდენტური პორტალი, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მათი შეფასების შესახებ: დასწრება, აქტივობა, ზეპირი გამოცდა, ქვიზის შეფასება.

უნივერსიტეტს აქვს Moodle პლატფორმა და ქვიზის სპეციალურად შემუშავებული პროგრამაა, რომელიც 2015 წელს შეიქმნა. ყველა საგამოცდო მასალა იტვირთება ქვიზის პროგრამაში.

უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მრავალ კლინიკასთან, სამეცნიერო კვლევით ცენტრთან და სხვა ინსტიტუტებთან სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული უნარების შეძენის უზრინველსაყოფად. ,,კლინიკური მედიცინის კურსი" ეტაპი II და ეტაპი III (კლინიკური პერსონალი) პრაქტიკულად ტარდება კლინიკურ ბაზებში, თითოეულ კურსზე. ამ ბაზების საშუალებით შესაძლებელია წვდომა სხვადასხვა ასაკის ჯგუფის პაციენტებზე (ბავშვები,მოზარდები, მოზრდილები, მოხუცები) ამბულატორიული და საავადმყოფოებში არსებული პაციენტების ბაზაზე გადაუდებელი სიტუაციების და ქრონიკული პაციენტების მართვის უნარების დასაუფლებლად. ჯგუფის 2 წევრის კლინიკებში ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ ძირითადი კლინიკები კარგად არის აღჭურვილი და აქვთ სტუდენტებისთვის განკუთვნილი ადგილები, სადაც შესაძლებელია ლექციის ჩატარება, მცირე ჯგუფებთან მუშაობა და კლინიკური უნარების შეძება მანეკენებზე. ,,გაგუას კლინიკაში" დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს ადგილი, სადაც განლაგებულია გინეკოლოგიური მანეკენები (რომლებიც ეკუთვნის უნივერსიტეტს) და სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ კლინიკური უნარების ლექციები. უნივერსიტეტი იყენებს "მედიქლაბ ჯორჯიას" თანამედროვე და კარგად აღჭურვილ კლინიკური უნარების ცენტრს.

ერთადერთი შენიშვნა არის ის, რომ მემორანდუმებისა და კლინიკებთან შეთანხმებების უმეტეს ნაწილში არ არის მითითებული ის მიმართულებები, თუ სად ჩატარდება კლინიკური სწავლება და რამდენი სტუდენტი იქნება ჯგუფებში. კლინიკების და მასში საწოლების რაოდენობა და პაციენტების რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობას შეესაბამება.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- დანართი 33- საჯარო რეესტრის ამონაწერები და აზომვითი ნახაზები;
- დანართი 20- ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის კვლევის ობიექტებთან;
- დანართი 37- ახალი საავადმყოფოს პროექტი;
- დანართი 38- ინფორმაცია მატერიალური რესურსების კვლევის შედეგებზე;
- დამართი 39- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები, ორგანიზებული

შეხვედრები;

- დანართი 40- დაფნი ჰეარის სამედიცინო ბიბლიოთეკის ინვენტარი;
- დანაფრთი 41- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დანართი 42- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- დანართი 43- სტუდენტური გამოკითხვის შედეგები: ბიბლიოთეკის გარემოს შეფასება.

რეკომენდაციები:

- სტანდარტი 4.3.- მოეწყოს სკოლის ინფრასტრუქტურა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების ან ფაკულტეტის წევრებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სტანდარტი 4.3- დაკონკრეტდეს კლინიკური პრაქტიკის მიმართულებები და სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკაზე კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):

- სტანდარტი 4.3 -ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული სასწავლო მასალა და კარგი სკანერი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის; მას, ასევე, გააჩნია კომფორტულ სივრცე კითხვისთვის.
- სტადარტი 4.3 - უნარების ლაბორატორიას გააჩნია თანამედროვე მანეკენები და პლასტირებული ნაწილები. უნარებისერთ-ერთმა ლაბორატორიამ აკრედიტაცია მიიღო.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა:

- პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერისტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებია:

- საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების განვითარება (სწავლების, სწავლისა და კვლევითი პროცესების ხელშესაწყობად);
- თანამშრომლობის გაღრმავება ევროპულ უნივერსიტეტებთან (სტუდენტური გაცვლის პროგრამები, საქმიანი მივლინებები, სტუდენტური კონფერენციები, ინტერნატურა და სხვ.);
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სამეცნიერო ტურები და კონფერენციები, კვლევის დაფინანსება, ინტერნაციონალიზაცია)
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (არსებული მშენებლობის დასრულება, ობიექტების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება);
- სასწავლო გარემოს სრულყოფა და განვითარება;

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება (სხვადასხვა ტრენინგ-კურსების საშუალებით).
- სხვადასხვა ინიციატივების მხარდაჭერა (სახელობითი სტიპენდიების დაფინანსება, დამსაქმებელთა წახალისება, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და სხვ.).

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროა უნივერსიტეტის სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება 2014 წლიდან 2019 წლამდე. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, მზარდია და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია: ,,უნივერსიტეტს აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი სწავლების პროცესის, კვლევის, სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის, ასევე სპორტული აქტივობებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, როგორც ამჟამად, ასევე მომავალში". მაგრამ ბიუჯეტის განაწილება გაუგებარია.

უნივერსიტეტმა 572 000 ლარი გამოყო კვლევის დაფინანსებისთვის (შიდა საგრანტო შესაძლებლობები) და შეიქმნა შესაბამისი შიდა ფონდი. დაფინანსდა ერთი პროექტი და ახალ ის განხორციელების ფაზაშია (2019) პროცენტული ან კონკრეტული თანხა, რომელიც გამოიყოფა სამეცნიერო საქმიანობისთვის, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, სასწავლო პროცესის განვითარებისთვის, ბიბლიოთეკის განახლებისთვის და სხვა მსგავსი საქმიანობისთვის, ფინანსურ ანგარიშში არ არის ნაჩვენები. აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა, რომ არცერთი მათგანი არ იყო ინფორმირებული ფინანსების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყოს მათი პროფესიული განვითარებისა ან სამეცნიერო საქმიანობისთვის. უნივერსიტეტი ფინანსურად სტაბილურია, ის გამოყოფს თანხას საქმიანი ვიზიტებისთვის, კონფერენციებისთვის, ცენტრალური სამეცნიერო ლაბორატორიისთვის, მაგრამ პროფესიული განვითარებისთვის ძირითადი ფინანსური მხარდაჭერა საგარეო გრანტებით ხორციელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- დანართი 58- ფინანსური ანგარიშები;
- დანართი 59- დაფინანსების წყაროები და ბოლო 5 წლის დინამიკა, 2019 წლის პროგნოზი;
- ნადართი 60- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- დანართი 51- ბიუჯეტის პროგნოზი 2020 და 2024 წლებისთვის;
- დანართი 62- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის გრძელვადიანი ბიუჯეტის პროგნოზი 2029;
- დანართი 63- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემა;

რეკომენდაციები:

- სტანდარტი 4.4 - დაწესებულებამ ბიუჯეტში გამოყოს კონკრეტული სახსრები პერსონალის სამეცნიერო და პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, ბიბლიოთეკის ფონდის შევსებისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებას და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
➢ პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე, არის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში. ხარისხის შეფასების პროცესები ემყარება ციკლს დაგეგმაე-განახორციელე-შეაფასა-შეამოწეა-განავითარე-გააუმჯობე. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად წარუდგენს ხარისხის თვითშეფასების ანგარიშს რეკომენდაციებით რექტორის საბჭოს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და მისი ანალიზის საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა ჩართოს

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი მრავალ საერთაშორისო პროექტში და პასუხისმგებელია ფაკულტეტის განვითარებაზე.

ინფორმაციის შეგროვება მოითხოვს სხვადასხვა ფორმის გამოყენებას, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ჩათვლით. მაგ.: ინსტიტუციური მონაცემების მიღება, კითხვარებით უკუკავშირის შეგროვება და ფოკუს ჯგუფებთან კომუნიკაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ანგარიში კითხვარის შედეგების ანალიზის შედეგად დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ყოველწლიური თვითშეფასების დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ქმნიან ხარისხის შეფასების ჯგუფს, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სავალდებულო ჩართულობით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით.

უნივერსიტეტს აქვს მონაცემთა ბაზის სისტემა და ინფორმაცია, რომელიც მუდმივად ახლდება / ივსება და შეიცავს მონაცემთა ”გრძელ” ჩამონათვალს. ხარისხის შეფასების შედეგები აისახება უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გაუმჯობესებასა და განვითარებას. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს ამ მონაცემების ანალიზს თვითშეფასების ანგარიშისა და წლიური ანგარიშის შემუშავებისას. ადმინისტრაცია იყენებს ამ ანგარიშებს პროგრამის სუსტი მხარეებისა და პროგრამის განვითარების სხვა საჭიროებების დასადგენად.

თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, სასწავლო გეგმის შემუშავება არის პროგრამის ხარისხის სისტემური და გაცნობიერებული უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით: ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაადგინა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები პროგრამის უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად:
პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრა;
მითითება, თუ რა უნდა ისწავლოს სტუდენტმა და რას უნდა მიაღწიოს მან;
შინაარსის დადგენა, მნიშვნელოვანი (ძირითადი) თემების შერჩევა და
პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრა; სწავლების მეთოდებისა და ტექნიკის
შერჩევა და განვითარება;
ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების შერჩევა;
როგორ (რა გზით) შეფასდებიან სტუდენტები სწავლის შედეგების დასადგენად.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ ისინი მუდმივად მონაწილეობენ პროგრამის შემუშავების პროცესში და ითვალისწინებენ ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს, თუმცა მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და განვითარების მნიშვნელოვანი პრინციპები;
- ხარისხის შეფასების შედეგების პროცედურა და ანგარიში ამ შედეგების გამოყენების შესახებ;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თვითშეფასების ანგარიში;

- კითხვარები;
- გამოკითვის შედეგების ანალიზი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- სტანდარტი 5- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩამოყალიბება;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა

- პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის პროცესი წარმოადგენს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გაზომვის მექანიზმს. პროგრამის ხარისხის გარე შეფასება 2011 წელს ჩატარდა. მას შემდეგ, პროგრამის განვითარების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები ყოველწლიურად წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ამ ქმედებამ დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგს რეგულარულად, პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. . თვითშეფასების ანგარიშის თანახმად,დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში: „530519-TEMPUS- 1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR: სამედიცინო განათლების ეროვნული ცენტრების რეგიონალური ქსელის შექმნის ფარგლებში, ორიენტაცია PBL და ვირტუალურ პაციენტებზე (ePBLnet). ამ პროექტების განმავლობაში შეაფასეს პროგრამის ხარისხი და შეადარეს სხვა პროგრამებს ევროპაში, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში:

ა) პროექტის ხარისხის შეფასების გეგმის შემუშავება; ბ) ხარისხის შეფასების პროცესის წარმოება; გ) პროექტის ხარისხის შეფასების ანგარიში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი სხვა პროგრამის (PBL დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა) შემუშავებას გულისხმობდა. თუმცა, ამ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გამოყენებულია გამოცდილება და რეკომენდაციები.

გარე ხარისხის შეფასების მიზნით, პროგრამამ ასევე გაიარა საერთაშორისო აკრედიტაცია ASIIN-AMSE - ერთობლივი საპილოტე პროექტის ფარგლებში, აკრედიტაციის ხარისხის ბეჭდის მისაღებად.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტმა კარგად გამოიყენა ეს საერთაშორისო გამოცდილება ყველა მისი სამედიცინო პროგრამის განახლების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- https://www.asiin.de/en/about-us/news/news-details/technical-committee-medicine-founded.html;
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ანგარიშები დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერისტეტის გარე ხარისხის შეფასებაზე.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით,ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიშის თანახმად, „უნივერსიტეტის ოფიციალური სტრუქტურები და ორგანოები უზრუნველყოფენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობის ფორმატს ხარისხის შეფასების პროცესში. ყოველწლიური თვითშეფასების დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმნის ხარისხის შეფასების ჯგუფს, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სავალდებულო ჩართულობით. ეს ინფორმაცია დაადასტურა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გასაუბრებების დროს, ასევე იმ ფაქტმა, რომ სტუდენტებმა შეავსეს კითხვარები და გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები.

პროგრამა შეიცვალა და გაუმჯობესდა სტუდენტებისა და ფაკულტეტის წევრების მონაცემების ანალიზისა და კოლეგების დისკუსიის საფუძველზე.

სამომავლოდ, კურსის შეფასების შედეგები გამოიყენება კურსის გასაუმჯობესებლად; მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად არის ნათქვამი, რომ მონიტორინგი უნდა განხორციელდეს რეგულარულად, ეს ფაქტი არ არის აღნიშნული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (გამოკითხვები და შედეგები, ანგარიშები). სასურველია, რომ მონიტორინგი იყოს სისტემური, ხოლო ანგარიშგება ხორციელდებოდეს

თანმიმდევრულად. ეს ხელს შეუწყობს რეაგირების ზომების დროულ დაგეგმვას და განხორციელებას (მაგალითად, პერსონალური ტრენინგი, სწავლების ან შეფასების მეთოდების გაუმჯობესება ...). საერთაშორისო პრაქტიკას უნივერსიტეტი იყენებს იმისთვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის პროექტი). პროგრამის ეფექტურობის შეფასება ხდება პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის გამოყენებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებებისა და გაუქმების წესები; ○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სტანდარტი 5.3- მოხდეს მონიტორინგის სისტემატიზირება და ანგარიშგების თანმიმდევრულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთისარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს დავით

ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი,
ერთსაფეხურიანი (7) დასკვნის გვერდების რაოდენობა:
48 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნადია ბადრავი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნანი ყავლაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვახტანგ ტებიძე